1877—1893

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

№ 261
ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 2 დეკემბერს

—

ანარხისტის ვალიანის მოქმედება უთუოდ ჩააფიქრებს, არა მარტო საფრანგეთს არამედ დანაშთენ განათლებულს კაცობრიობასაც.

როგორ! იქ, სადაც მთელის ერის წარმომადგენელნი, თავისუფლად არჩეულნი, რომელთაც ქვეყანამ მიანდო და ჩააბარა უაღრესი უფლება მართვისა და კანონმდებლობისა, იქ, სადაც დაუშლელად შესაძლებელია ყოველ გვარის აზრისა და რეფორმის წარმოთქმა, წარდგენა და დაკანონება იქ, იმ მთელის ერისგან რჩეულ კრებულში, იმავე ერის შვილი ისვრის დინამიტით სავსე მასრას და ამ საზარელის საქციელით უარს ჰყოფს წარმომადგენლობითს მართველობას, ერის უზენაესს ნებასა და ბრძანებას!

ასეთი საქციელი საფრანგეთის ანარხისტისა ძირეულად ეხება და ერთის შეხედვით ჩრდილს აყენებს რესპუბლიკის წეს-წყობილებას.

ვსთქვათ, ეხლანდელი დამოკიდებულება საზოგადოების წევრთა უსამართლო და შემაძრწუნებელია, ვსთქვათ, წოდებათა არსებობა უმსგავსი ანახრონიზმია და თვით ეკონომიური განაწილება სიმდიდრისა ხმა მაღლა ღაღადებს იმ აზრს, რომ კაცობრიობას ჯერ ბევრი და ბევრი გზის გარება სჭირია, რათა მიუახლოვდეს მაცხოვრის მცნებას და დაამკვიდროს ქვეყანაზედ სამართალი დ სიყვარული! ვსთქვათ, ყოველი ესე შეურყეველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ სად არის სხვა ზომა ამავე სამართლისა და სიყვარულის დასაარსებლად კაცთა შორის, თუ არა განაჩენი ერისა?!

საფრანგეთის ანარხისტი ამ ავტორიტეტს უარს ჰყოფს, დინამიტს ისვრის ერის წარმომადგენელთა დარბაზში და ჰქლეტს ერისაგან რჩეულს კაცებს, როგორც შეუბრალებელი მონადირე გაურევს ხოლმე ფრინველთა გუნდში მომაკვდინებელის იარაღით საფანტს.

კიდევ ვიტყვით, ამ გვარი გადალახვა და შეურაცხება ქვეყნის განაჩენისა გაზვიადებული, მეტისმეტი კადნიერებაა და ყალბი აზრია იმისა, რომ მხოლოდ მე ვარ შეუმცდარი და უცოდველიო.

მაგრამ ამ გუნდის კაცთათვის ლოგიკა და კანონი პროგრესისა ძნელად გასაგები იეროგლითეებია!

„ყველაფერი გარდა წესისა!“

— აი დევიზი ვალიანისა და იმის თანამგრძნობელთა.

მაგრამ სანამდის ადამიანს ადამიანის ბუნება შერჩება, სანამდის გული და თვალი მგრძნობელობის და მხედველობის ნიჭს არ დაჰკარგავს, შესაძლებელია განა, რომ თითოეული საზოგადოების წევრი კანონ მდებელიც იყოს და აღმსრულებელიც ამ კანონისა? ამ ნაირად ხომ ინდოეთის შამბნარშიც სცხოვრებენ ლომ-ვეფხვნი და სხვანი ნადირნი?!.

ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია წინდაწინ ვსთვათ, რას იღონებს ევროპის მთავრობანი და რა წამალს დასდებს ამ საშინელს სენს, რომელსაც ეწოდება ანარხიზმი. მაგრამ ერთი რამ-კი არის საგულისხმო და სარწმუნო, რომ მხოლოდ დევნით, ციხეებში დამწყვდევით და დარჩობით ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო არ მოეღება და ერთის მოჭრილის ღერის ნაცვლად ორი და სამი შტო ამოჰხეთქს.

ასეთი არის ყოველი აღკრძალულისა და ახალის აზრის ბედი და აქ მხოლოდ საზოგადოების წევრთა დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ძირეულად შეცვლა წაართმევს ნიადაგს ამ ახალის დროის ვეშაპს.

რასაკვირველია, ანარხისტთა წადილის დაკმაყოფილება არა თუ ეხლა, უთუოდ ვერც ვერაოდეს ვერ შეეძლება ქვეყანას, მაგრამ ამ გუნდს იდუმალად თანაუგრძნობს და მხარს აძლევს ის დაჩაგრული და დაბეჩავებული ნაწილი ხალხისა, რომელსაც სტკივა გული ეხლანდელ წესწყობილების გამო.

სოციალურ ცვლილებათა შემოღება და ახალის წეს-წყობილების დაარსება მახვილითა და სისხლის დაღვრითა, გარდა იმისა, რომ წინააღმდეგია ადამიანის ბუნებისა და ქრისტიანობისა, ვერც თითონ იმათთვის არის გამოსადეგი, ვისაც ამ ცვლილებების წყალობის გამო უკეთესი ნაყოფი ერგება, რადგანაც გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ შემაძრწუნებელის მსხვერპლით მოპოვებული უფლება დიდხანს ხელში არა რჩება თითონ მოპოვებელს.

საზოგადოდ რომა ვსთქვათ, სისხლი და მახვილი ვერაფერი გზის მაჩვენებელი სანათია ერისთვის შინაგან ცხოვრებაში ბედნიერების მისაღწევად. ამისთვის კაცობრიობამ მოიგონა წარმომადგენლობითი მართველობა, რომელსაც სიმართლეცა აქვს, საშვალებაც გააუქმოს და შემოიღოს ისეთი წესი და კანონი, როგორიც ერისათვის საკეთილოდ მიაჩნია. მაგრამ სულ სხვა არის, როდესაც ქვეყანას გარეშე მტრისაგან მოელის შიში და განადგურება. აქ ყოველი საშუალება სახმარებელია და წმიდა, რადგანაც ერის თავისუფლება, იმისი საუკუნოებით დაკანონებული ენა, ზნე და გრძნობა ხელ-შეუხებელად უნდა დარჩეს, რადგანაც ამ თვისებათა წყილობით განსხვავდება ერთი ერი მეორისაგან და ეს ეროვნული სხვა-და-სხვაობა, ეს განსხვავება, ეს საკუთარი სახე, ისე საჭიროა და დამამშვენებელია მსოფლიო ჰარმონიისა, როგორც ერთს დიდს ნობათში დამამშვენებელი და შემამკობელია სხვა-და-სხვა ფერისა და სუნის ყვავილი.

ნობათი მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, სურნელოვანი და კარგი, როდესაც ამ გვარად არის შეხამებული: ბუნებას, უთუოდ, კაცზედ უკეთესად ესმოდა, როდესაც აჩენდა სხვა-და-სხვა ფერისა და გვარის არსსა. ბუნების წესის გასწორება და დარღვევა, გარდა იმისა, რომ შემაძრწუნებელია, უეჭველია ძნელიც არის.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** ცხინვალი (გორის მაზრა): ქვემო ნიქოზის მემამულეს თ. ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილს ებოძა უწმინდესის სინოდისაგან ლოცვა-კურთხევა გრამოტით ზემონიქოზის ღვთაების და მთავარ ანგელოზის ეკკლესიის განახლების გამო, რომელშიაც იღებდა მხურვალე მონაწილეობას შრომითა და ნივთიერის დახმარებითა.

*** დ. ზესტაფონი: „ივერიის“ მკითხველთ ეხსომებათ, რომ ამ ზაფხულს ახლად გაყვანილ ჭიათურის რკინის გზის შტოზე მომხდარ უბედურების დროს, სხვათა შორის, დაშავდა ახალგაზრდა მკურნალი ბ-ნი ი. ჯინორიძე, რომელსაც ვაგონეტმა მარჯვენა მხარი დაუშავა. ამ უკანასკნელ ხანამდე ბატონ ჯინორიძეს დიდის გულ-მოდგინებით სწამლობდნენ ქუთაისის საუკეთესო ექიმები. ეს ორი კვირაა, რაც ისევ დაუბრუნდა ბ-ნი ჯინორიძე ჩვენს დაბას. მხარი მორჩენია, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ცოტაოდენ სისუსტესა ჰგრძნობს. საყვარელ ექიმის მოსვლა და ნახვა, რა თქმა უნდა, მთელს დაბას დიდად სასიამოვნოდ დარჩა.

*** სანგაჩალა: 29 ნოემბერს დილის 8 საათზე სანგაჩალის სადგურის უფროსს საკალოვსკის და იმ სადგურისვე მეისრეს ასლან საფარ-ოღლის ჩხუბი მოსვლიათ. საკალოვსკის რევოლვერი უსროლია და ასლან საფარ-ოღლი მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი ბაქოს რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს და მეორე დღეს გარდაიცვალა.

## დამაკვირდი

—

უვიცობა ან ამტკიცებს, ან უარ-ჰყოფს, ცოდნა მხოლოდ ეჭვშია.

**

ჭკვიანს ბევრი ლაპარაკი არ უხდება და სულელსაც ხომ სულ არ შეჰფერის.

თალმუდი

**

# ფელეტონი

—

### ლიტერატურა და ხელოვნება.

იუბილეი მორიც იოკაისა—სადრამო ხელოვნება ბერლინში.

დეკემბრის გასულსა სრულდება ორმოცდა-ათი წელიწადი უნგრთა გამოჩენილ რომანისტის მორიც იოკაის სალიტერატურო მოღვაწეობისა. მის თანამემამულეებს გაზრახვა აქვთ არა თუ იუბილეი იდღესასწაულონ დიდის ამბით, არამედ ასი-ათასი გულდენიც მიართვან საჩუქრად მხცოვანსა მწერალს. უნგრთა ეხლანდელ მწერალთა შორის, იოკაი, ეჭვი არ არის, ყველაზე შესანიშნავია და ნიჭიერი. პეტეფის გარდა არც ერთს არა აქვს ისეთი სახელი თავის ქვეყანაში და საზღვარგარეთაც, როგორიც მოიხვეჭა იოკაიმ. მისი რომანები პირველში გერმანულად იქმნა ნათარგმნი, ხოლო შემდეგ ევროპის ყველა სხვა ენებზედაცა სთარგმნეს და ამ სახით მისნი თხზულებანი მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილებად შეიქმნენ. ყველა მისი ნაწერები ას ტომად არის დაბეჭდილი. ასეთის ნაყოფიერის მოღვაწეობით იოკაი ძრიელა ჰგავს დიუმა-მამასა და კრაშევსკის. თვით ნაწერების ვითარება და წერის უნარიც ამ მწერლებისას უგავს. ცხადია, რომ ამოდენა ნაწერებში ბევრი ისეთია, რომელსაც დიდი ღირსება არა აქვს და ძრიელაც სუსტობს, გარნა რჩება კიდევ კარგა ბლომად ისეთი ნაწერები, რომელთა მაღალს ღირსებას თვით უსასტიკესი კრიტიკაც ვერ უარჰყოფს. იოკაის იშვიათის ნიჭის ღირსებაა ჯერ მდიდარი, ღრმა და ვრცელი, ფრთა-გაშლილი ფანტაზია, რომელმაც ამასთანავე ზომა და სამზღვარიც იცის, ხოლო შემდეგ მშვენიერი, პოეტური ფორმა, მერე კიდევ—სასიამოვნო იუმორი. მისი იუმორი მოგაგონებთ ესპანიის მე-XVI და XVII საუკუნის მწერალთა იუმორს. სასიამოვნოა მისი იუმორი მით, რომ არც გარდამეტებულია და მკვეთრი, არც მეტად კადნიერი და უშნო. კადნიერება და უშნოობა, ცოტა არ იყოს, სჩვევია უნგრთა ერს. რაიცა შეეხება მის რიცხვ-მრავალ რომანების შინაარსს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს შინაარსი მუდამ ყოვლად საინტერესოა, იმიტომ რომ ავტორი მოგვითხრობს ან უნგრთა ცხოვრების რომელსამე საინტერესო ამბავს, ან თვალ-წინ გვიყენებს ტიპად გამოსახულს, თავისებურ გმირთ. ასპარეზი, რომელზედაც ჰმოქმედობენ და იღვწიან ეს გმირნი მისის რომანებისა, არის მთელი უნგრეთი; ან მისი ლამაზი, განცხოველებული სატახტო ქალაქი, ან რომელიმე ქალაქი პროვინციისა, ან მწვანით მოსილი, დიდს მანძილზედ გადაჭიმული მინდორ-ველი, ან კარპატის მთები, ან სასახლე რომლისამე მაგნატისა, ან და კიდევ განმარტებით სადმე მინდორში აყუყული დუქანი, სადაც საღამ-საღამოობით ცეკვავენ „ჩარდაშს“ ბოშების ვიოლინოზედ. ვერც კიშფალუდიმა და ვერც ეტვეშმა ვერ შეჰქმნეს ისეთი სიცოცხლით სავსე და პოეტურის ფერადებით შეხამებული სურათები, როგორიც შეჰქმნა იოკაიმ, რომელსაც თამამად შეუძლიან სთქვას, რომ მისი რომანები ნამდვილი სარკეა მადიართა ცხოვრებისა მის მრავალ-გვარის ტიპებითა, ზნე-ჩვეულებითა და სხვა. ყველა მის თხზულებათა შორის უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა „ოქროს კაცმა“, მოთხრობამ, რომელშიაც ჰმოქმედობენ მრავალ-გვარის ხასიათის კაცნი მადიართა საზოგადოებისა, დაწყებული ბუდა-პეშტის სალონების პეწენიკა გმირთაგან და გათავებული რომელისამე შორეულ პროვინციის საწყალს და მოუხეშავ მკვიდრთა. ამ ნაირ მკვიდრთ ხშირად ეტყობათ ერთი ნიშნობლივი, თითქმის მადიართ საყოველთაო ხასიათი, სახელდობრ მოუხეშაობა, ცოტა თავაშვებული სიჭარბე გრძნობათა, სურვილი ქილიკობა-დაცინვისა და ყურვილი სიცოცხლით დატკბობისა. ეს ტიპი, რომელიც შექსპირის ფალსტაფს ძალიან მოგვაგონებს, ხშირად შეგხვდებით მადიართა ლიტერატურაში. ვენის მცხოვრებთა აზრით, ეგ ტიპი ნამდვილი განხორციელებაა მადიართა საეროვნო ხასიათისა. ასეთი სალის იუმორის სრული ანტიტეზაა ის დიდად პოეტური მწუხარება, ხან ნაზი მელანხოლია, ხან თავ-დაუჭერელი, ღრმა კვნესა-გოდება, რომელიც ასეთის ძალით ისმის შესანიშნავ კომპოზიტორ ფრანც ლისტის მიერ შექმნილ უნგრთა რაფსოდიებში.

რაიცა შეეხება ქალთა ტიპებს, ამათი კრებულიც ნაკლებ მდიდარი

ის, ვინც სხვას ასწავლის და არიგებს და ამ დარიგებას თავისის საკუთარის მაგალითითაც არ ასაბუთებს, გზას მაჩვენებელს ბოძსა ჰგავს: ეს ბოძიც სხვას გზას ასწავლის და თითონ-კი ამ გზაზედ ვერ დადის.

რივაროლი

* * *

მინახავს სოფლის სიმუხთლე, მის უკულმართი ტრიალი,
ბედს არ ვუყვარდი ყარიბი, ობოლი, ოხერ-ტიალი...
დამაცლევინა მრავალჯერ ნაღველით სავსე ფიალი...
ძმისაგან ძმობა არ ვ ცი და სატრფოსაგან ტრფიალი,
შენ რას მპირდები, არ ვიცი, ლამაზო, ნაზის ღიმილით?..
ნუ-თუ გაუწყე ვარამი მე უიმედო ჩივილით
და გსურს დამიტკბო სიცოცხლე, ღლემდის გავლილი არ ამოდ?
გინდა მეყოლო მფარველად, დამწვარის გულის მალამოდ?!.
ოჰ, რად სწუხდები, სიცოცხლევ, ჩემთვის რად ეძებ სიხარულს,
თუ გული შენი ვერ იგრძნობს ჩემს უნუგეშო სიყვარულს...

მ. თ.

## კორესპონდენცია

**სიღნაღი**: 29 ნოემბერს ჩვენს სიღნაღში 200-ზედ მეტია იმისთანა დუქანი, რომელშიაც გაჩაღებულია სხვა-და-სხვა გვარი ვაჭრობა. მაგალითად, ბაზაზისა, ბაყალისა, მიკიტნისა, თერძისა, მეწვრილმანისა და სხვათა. ამ დუქნებში, გარდა სავაჭროს პატრონებისა, ტრიალებენ ნოქრებიც, დიდი და პატარა. ზოგი ჯამაგირითა და ზოგიც უჯამაგიროდ. უჯამაგიროდ ხამები არიან, ჯამაგირი ენიშნებათ მაშინ, როცა ისწავლიან ოსტატურს ვაჭრობას. ნოქრები დუქან-მაღაზიებში ზოგში ერთია, ზოგში—ორი, ზოგში—სამი და მეტიც. ამ საწყლებს აწევთ კისრად საშინელი და აუტანელი ჯაფა; აქვთ დიდი წვალება, შრომა და ხანდისხან ცემა-ტყეპაც. როგორც საქმის დღეს, აგრეთვე ყოველ კვირა-უქმე დღესაც-კი ასეთს მუშაობასა და უსიამოვნებაში არიან. არ არის იმათთვის არც შესვენება, არც კვირა, არც ბედნიერი დღე, არც წირვა-ლოცვა და არც საკუთარი სახლ-კარი. ინათებს თუ არა, ნოქარი მოვალეა დუქნის კარებზე იდგეს ატუზული, ღამის 10—12 საათამდე. კარგა ხანია ითმინეს ეს უპატიო და წრეს-გადასული ჯაფა ჩვენმა ნოქრებმა და ბოლოს ველარ მოითმინეს.

ამ ორიოდე თთვის წინად გაჩნდა დუქან-მაღაზიების პატრონთა შეუმჩნევლად სიღნაღელ ნოქრებ შორის რაღაცა ჩურჩული და შეთქმულობაა იმის შესახებ, რომ ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც ჩვენს თავს მოვუაროთ და კვირა-უქმე დღეს მაინც გავნთავისუფლდეთ ამ პირუტყვულ და ენით გამოუთქმელ შრომისაგანაო. ბევრის ფიქრის შემდეგ, გადასწყვიტეს, მიერთმიათ თხოვნა, სადაც ჯერ იყო, რომ ამ გაჭირებიდგან დაგვიხსენითო; გადასწყვიტეს და კიდეც აასრულეს გადაწყვეტილება. მიართვეს ეს სამართლიანი თხოვნა და მთავრობამაც შეიწყნარა მათი სათხოვარი. აგერ ეს მეორე კვირაა, რაც სიღნაღში მკაცრად იქცევა პოლიცია და ყველა დუქნები დაკეტილია კვირაობით დილის 12 საათამდე, გარდა ყასაბ-მეპურეების დუქნებისა. შეუსრულდათ ნოქრებს თავიანთ გულის წადილი და ამათ სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. მაგრამ დუქნის პატრონები-ღა? ისინი გაафთრებული იცემენ გულში ხელს და დაეძებენ ამ სამართლიან საქმის მოთავეს, ლანძღვა-გინებით იხსენიებენ ნოქრებს და გაიძახიან: „ვინ დაგვისხა ცეცხლზე წყალი, ვინ დაგვღუპა, ვინ იჩივლა“; ან ვის რა საქმე აქვს, ჩვენი მოჯამაგირე ჩვენს ხელთ არ არიო? თუ არ უნდოდათ დგომა, ვინ ეხვეწებათ, ჯანაბას გზა ჰქონოდათო. ზოგი ამას ამბობს, ვიჩივლოთ, კაცო, ვიჩივლოთ. თუ-კი ჩვენს «ფრიქაშჩიქებს» აქვთ ნება ჩივილისა, ჩვენ რაღა დაგვემართაო და სხვ. მაგრამ, არა მგონია, თუ კვლავ შემოაღებინონ კვირა დღით ვაჭრობა. ჯერ-ჯერობით დიდი ჩოჩქოლია „ფრიქაშიქებსა“ და ხაზეინებს შორის სიღნაღში და შემდეგ რა იქმნება, ამას დრო და ჟამი გამოაჩენს.

ქართველი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ჩვენ ამას წინად ერთი პატარა და სამართლიანი შენიშვნა დავბეჭდეთ თქვენს გაზეთში თთ. მაჩაბლიანთ ტყეების შეკვრაზედ. ვამბობდით, რომ თთ. მაჩაბლები ძალ-მომრეობით ახდევინებენ ხალხს შალბაშსა შიგ შუა ცხინვალშიო და ამის გამო ერთი უსიამოვნებაა-მეთქი. ამ შენიშვნის შემდეგ თთ. მაჩაბლებმა კი არ მოიშალეს თავიანთი საქციელი, უფრო მეტი სასტიკობა გამოიჩინეს და, ვისაც სახელმწიფო ტყის ბილეთები ჰქონდათ, იმათაც-კი შალბაში წაართვეს. ამ ამბავმა იქამდე აალელვა ხალხი, რომ სასამართლომდე მივიდა საქმე. ეს კიდევ არაფერი. აქაურმა მოხელემ მიამბო, რომ ერთმა ოსმა ურემი ჩამოიტანა, მზითევი იყიდა და მიჰქონდა. თთ. მაჩაბლები დაუხვდნენ ამ ოსს და აღარ უშვებდნენ, შალბაში უნდა მოგვცეო. სინამ არ მოეშვნენ, ვიდრე მოხელემ ოქმი არ შეაყენა. ერთმა მერეთელმა ერთ აქაურ ებრაელისაგან იყიდა ყავარი; თთ. მაჩაბლები დახვდნენ და შალბაშის თხოვნა დაუწყეს. ებრაელმა სთქვა, რომ ყავარი მე ვიყიდე, ყავარს ვყიდულობ და ვყიდი, რამდენი წელიწადია აგერაო. თთ. მაჩაბლები მაინც თავისას არ იშლიდნენ და გლეხკაცს საქონელი კინაღამ შიმშილით დაეხოცა. ბოლოს ამანაც ბოქაულს მიჰმართა და ოქმი იქმნა შედგენილი. მადლობა ღმერთსა, რომ ტყეები შეჰკრესო, ბრძანებს თ. ლ. ი. ციციშვილი. მერე მე როდისა ვსთქვი, რომ ტყეები შეჰკრეს და კარგი საქმე არა ჰქმნეს-მეთქი. მაჩაბლებზედ წინად ფალავანდიშვილებმა შეჰკრეს ტყეები. იმათის ხე-ტყით მთელი ცხინვალი სავსეა. მაგრამ ისინი აქ-კი არ უხვდებოდნენ შალბაშისთვის ხალხს, ტყეშივე აქვთ საბაჟო და საშალბაშო გამოსული და იქ ათავებენ მშვიდობიანად საქმეს. მერე მოაქვთ ცხინვალს ხის მასალა და ისე ჰყიდიან, როგორც თავიანთი სურვილია. აი მე ამას ვამბობდი და კიდევაც ვამბობ, თუ თთ. მაჩაბლებმა ტყეები არ გაიმაგრეს, იმათ ვერ აიცილებენ თავიდამ უსიამოვნებას, რომ ცხინვალში დაუხვდებიან შალბაშისთვის შეშის ურმებს. დასასრულ, თ. ლ. ი. ციციშვილი ბრძანებს, რომ ორის აბაზის დარდით ცხინვალელი სიცივით არ მოკვდებაო. საკვირველია, თუ თავად არ ყოფილა გაჭირებული, მეზობელი მაინც არ უნახავს გაჭირვებაში? *)

კვირიკელა

*) აქ მოხსენებულ ცნობათა და გარემოებათა სინამდვილე, რასაკვირველია, წერილის ავტორის სრულს პასუხის გებაზეა. თუმცა წერილს ფსევდონიმი აწერია, მაგრამ მისი ვინაობა და სახელი რედაქციამ იცის. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ კორესპონდენციის შინაარსის გამო პასუხის მგებელია თვით ავტორი კორესპონდენციისა, კორესპონდენტი, რომლის შეხედულობა, შეიძლება, სულ სხვა იყოს და რედაქციისა სულ სხვა. ურიგო არ იქმნება, რომ იმათ, ვისაც ლიტერატულ წერისა და ცოდნის პრეტენზია აქვთ და 15—20 წელიწადია მწერლობენ, ეს მარტივი აზრი კარგად შეიგნონ.

რედ.

## რუსეთი

გასულ თთვეს დაარსდა პეტერბურგში ახალი „საზოგადოება პეტერბურგის უმაღლესს დედათა კურსებში სწავლა დამთავრებული ქალთა დახმარებისა“. საზოგადოებას საგნადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ფულითა და საქმის შოვნით იმ ქალთა, რომლებიც კურსებში სწავლობენ. გარდა ამისა, საზოგადოებას განზრახვა აქვს მიწერ-მოწერა გაჰმართოს იმ ქალებთან, რომელთაც სწავლა დაუმთავრებიათ უმაღლეს სკოლებში, შეკრიბოს ცნობანი შესახებ მათის მოქმედებისა და შეიტყოს, რა ჯილდოს იღებენ თავის შრომაში. საზოგადოების დაარსების დღეს სიტყვა წარმოსთქვა ამავე საზოგადოების მდივანმა ქ-მა ე. ნ. შაჩეპკინისამ. ამ სიტყვიდგანა სჩანს, რომ ახალი საზოგადოება გაიზარდა პატარა წრისაგან, რომელიც თერთმეტის წლის განმავლობაში იკრიბებოდა კურსების მეთაურის ქნ ნ. ვ. სტასოვის სახლში. აქ მოდიოდნენ ხოლმე ქალები ადგილისა და საქმის საშოვნელად, აქვე ლაპარაკობდნენ შესახებ კურსების სხვა-და-სხვა საქმეთა და აქვე წერილებსა ჰგზავნიდნენ შესახებ თავის მოქმედებისა უმაღლესს კურსებში სწავლა დამთავრებული ქალები.. ქ-მა შაჩეპკინისამ სთქვა სხვათა-შორის: ქალები მწერენ, რომ მათთვის დიდად სასიამოვნოა იცოდნენ, რომ ძველი მეგობრები მათ წერილებს წაიკითხავენ და მათ ავ-კარგიანობას შეიტყობენ. ეჭვი არ არის, რომ პეტერბურგის უმაღლეს კურსებში სწავლა დამთავრებული ქალები დიდად თანაუგრძნობენ ამ საზოგადოებას, შეატყობინებენ თავის ავ-კარგიანობას და მოქმედებას და შეძლების და-გვარად ფულითაც დაეხმარებიან გაჭირვებულ ამხანაგებს. ნამდვილ წევრებად მიიღებენ მხოლოდ კურსებში სწავლა დამთავრებულთ და წელიწადში 5 მანათი უნდა გადიხადონ საწევრო ფული. დანარჩენნი, ვინც წელიწადში 6 მანათს შეიტანს, თანამგრძნობელწევრებად ჩაითვლებიან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ან საზოგადოების თავმჯდომარეს, ნადეჟდა ვასილის ასულს სტასოვისას (ზნამენსკაია, 36, სადგური 55) ანუ საზოგადოების ხაზინადარს, ნატალია ალექსანდრეს ასულს ვეტვენიცკისას (სერგეის ქუჩა, 16)

—

1 დეკემბრიდგან პეტერბურგის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების სადგომში გამართულია ციმბირისა და კავკასიის შინა-მრეწველნი, ნაწარმოების საქულბაქო. სამივე დარბაზი სადგომისა საქულბაქოსა აქვს დაჭერილი. პირველს დარბაზში ალაგია აბრეშუმისა, მატყლისა და აქლემის ყელის ქსოვილები, კავკასიაში ნამოქმედარი; იქავეა ციმბირის განყოფილება და ალაგი. ტიუმენის ხალიჩები, ორენბურგის ხელსახოცები, ტულას რკინისა და თითბრის ნივთიერებანი, ნოვგოროდის ფოლადისა და რკინის ნაკეთობანი. მეორე დარბაზში სათამაშოები ალაგია, იქავე სხედან შინამრეწველი და საქმობენ. მესამე დარბაზში საქულბაქოს სამმართველოა გამართული.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ზომიერ და კონსერვატორ რესპუბლიკელ დასების ჟურნალ-გაზეთები ბევრსა სცდილობდნენ დიუპუის არჩევანების დროს პალატის პრეზიტენტად. ბევრსა სცდილობდნენ, პრემიერად ნამყოფის არჩევანებისთვის საპოლიტიკო ხასიათი მიეცათ. გაზეთი „Times“-ი სწერდა: დიუპუის კანდიდატურა აუცილებელი შედეგია გარემოებისა, უეჭველად უნდა წარმოგვედგინა და პალატამაც უეჭველად უნდა თანაუგრძნოს ამ კონდიდატურას. თუ პალატამ დიუპუი პრეზიდენტად აარჩია, ეს არჩევანი ის გარდაწყვეტილება იქმნება, რომლის მიღებაც არ შეეძლო მის სასარგებლოდ როცა ჟორესმა პალატას თავისი მოხსენება წარუდგინა. ეს არჩევანი ბოლოს მოუ-

---

არ არის იოკაის რომანებში. მართალია, მრავალნი ამ საუცხოვო კეკლუცთა და ბანოვანთა შორის განყენებულნი არსებანი არიან, ნაყოფნი ფანტაზიისა, და ძალიან ცოტათი ჰგვანან ხორც-შესხმულ ადამიანთ, მაგრამ ბევრნი ურევიან ისეთნიცა, რომელნიც ღვიძლი ასულნი არიან ნამდვილის ცხოვრებისა. და აი სწორედ ამისთანა ასულთა კრებულს შეადგენს იოკაის ნაწერებში ფრიად საინტერესო, მრავალ-ფეროვანს, თავისებურსა და განსაკუთრებულს გალერეიას სურათებისას.

ასეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იოკაი ასურათხატებდა თავის რომანებში არა მარტო ეხლანდელს ცხოვრებას, არამედ თავის ქვეყნის წარსულსაც. ასეთებია მისი რომანები: „ნეტარი დრო ტრანსილვანიაში“, „ჩვენი ძველებური თავადაზნაურობა“, „დღენი მწუხარებისანი“ და მრავალი სხვა. ამ სახით გადავიდა იოკაი ისტორიაშიც, საცა მის პოეტურს აღწერილობას, ცოტა არ იყოს, ელფერი აკლია. თუ არა ვსცდებით, იოკაი, როგორც მწერალი საისტორიო რომანებისა, ბევრად უკან ჩამორჩა ვალტერსსკოტს და ამ მხრით დიუმა-მამას უფრო ჰგავს.

**

გერმანიის ლიტერატურაში ესრედწოდებულ „ახალგაზდა გერმანიის“ წარმომადგენელნი დიდიხანია ცდილობენ დანერგონ რეალიზმი და ამის გამო თანდათან უფრო შორდებიან იქ ერთმანეთს მწერალნი და მკითხველნი. ამასავე შეჰნიშნავს კაცი სადრამო ხელოვნებაშიაც. საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს რეალიზმის მიმდევართა ნაწერებს, მაგრამ ეს ვაჟბატონები მაინც იმდენად კერპნი და თავმოყვარენი არიან, რომ არ უნდათ გამოტყდნენ, რაოდენად გამოიფიტნენ და დაჰკარგეს ნდობა საზოგადოებისა. ისინი მაინც თავისას არ იშლიან და ავსებენ თავიანთ ნაწერებით წიგნის მაღაზიებსა. მათი საქციელი მაგონებს იმ მეეტლეს, რომელიც გაცხარებით მოერეკება თავის ცხენებს და უნდა საჩქაროდ გაიაროს უვარგისი, ოღრო-ჩოღრო გზა და იმას-კი ველარ ამჩნევს, რომ ეტლში მსხდომნი დიდიხანია მის ეტლიდამ გადამხტარან და სხვაში ჩამსხდარან. გერმანიის რეალისტების პეგასი, როგორც სჩანს, ძალიან ფიცხი და ჭირვეული ცხოველია, ხოლო მათი მუზები ისეთებია, რომელთაც ქალთა რიგიან საზოგადოებაში შესვლა აღკრძალული აქვთ. ამიტომ, რასაკვირველია, მომავალი ეკუთვნით იმ მწერალთ, რომელნიც ან სრულიად არ დაჰმეგობრებიან ამ მუზებს, ან სრულიად ზურგი შეუქცევიათ მათთვის და პირი უქნიათ ოლიმპის უფრო მართებულ ასულებისაკენ. ბევრნი არიან ახლა მათ შორის იმისთანა მოღალატენიც, რომელთაც დაუტევეს ბანაკი თვისი და მიემხრნენ იდეალისტებს. ვენის პროფესორმა ბერგერმა კარგადა სთქვა მათ შესახებ ერთს თავის საჯარო ლექციაში: „ეგ ახალი რეალისტები კოლუმბსა ჰგვანან, ხოლო ნამდვილს კოლუმბს-კი არა,—ტყუილსა და გაუკულმართებულს კოლუმბსაო. კოლუმბი გაემგზავრა და უნდოდა ახალი გზა ეპოვნა ძველის ქვეყნისა, ხოლო ახალი ქვეყანა-კი იპოვნა; ახალი რეალისტები-კი სცდილობენ იპოვნონ ახალი ქვეყანა და თანდათან-კი უფრო იმ იდეალით-მოსილ ქვეყანას უახლოვდებიან, რომელიც ძველის-ძველია და დიდიხანიც არის მას აქედ, რაც იგი შილლერმა აღმოაჩინა“.

სწორედ ასეც არის. ბევრნი დარწმუნდნენ ახლა, რომ ფოტოგრაფიული გადახატვა ჩვენის ყოველ დღიურის ცხოვრებისა პოეზია არ არის. საზოგადოებაც აღარა ჰმალავს ამას და ხმამაღლა აცხადებს, რომ ეგ შავითა და ბნელით მოსილი სურათები ვერ გაგვართობს ჩვენაო. ბერლინში, საცა ამ ჟამად თოთხმეტი თეატრია, მხოლოდ ერთში არდგენენ რეალისტების პიესებს და უნდა ვსთქვათ, რომ ისიც სავსე არ არის ხოლმე. პიესებ შორისაც მხოლოდ ხუთიოდ-ექვსიოდემ დაიჭირა თავი სცენაზე. ყველა დანარჩენს თეატრს რეალიზმი კონტრაბანდად მიაჩნია და ისინი სიამოვნებით იღებენ წარმოსადგენად ახალ იდეალიზმის მიმდევართ პიესებს. უნდა-კი ვსთქვათ, რომ ეს ახალი რეალიზმი ჯერ როგორღაც ბუნდოვანია და, ცხადად არ გამორკვეულა და ზოგჯერ კინაღამ მისტიციზმის მორევში ტრიალებს.

ამ მიმართულების უფრო თავისებური და განსხვავებული ნაწერი არის დრამატიული პოემა „ანეტა“, რომელიც ამ სამის კვირის წინად წარმოადგინეს პირველად ბერლინში. მისი ავტორი ჰერგარდ ჰაუპტმანი აქამდე

ღებს ჟორესის წყალობით ატეხილს კამათობას, რომელიც ჯერ არ მოსპობილა. რაკი საქმე ამ გვარად იყო, ოპოზიციამ თავის კანდიდატად ბრისსონი ამოირჩია და ამით გაუწია წინააღმდეგობა ახალს კაბინეტს. ამ გვარად პრეზიდენტის არჩევანს საპოლიტიკო მნიშვნელობა მიეცა. შედეგი არჩევანებისა არამც თუ სასიამოვნო გამოდგა მთავრობის მომხრე რესპუბლიკელთათვის: მათი კანდიდატი სულ 38 ხმ.ს უმეტესობით იქმნა არჩეული.

—

**გერმანია.** ცენტრის მეთაურმა ლიბერმა წარუდგინა რეიხსტაგს მოხსენება შესახებ იმისა, რომ მთავრობამ იკისროს დაარსება მედიატორეთა სასამართლოებისა იმ უთანხმოებათა განსახილველად, რომელიც შეიძლება მოხდეს სავაჭრო ხელშეკრულობის მოქმედობის დროს და გარდა ამისა, ყველა განათლებულ სახელმწიფოთ ვსთხოვოთ, ერთად განიხილონ საქმენი ფულის სისტემისა, ბირჟის ოპერაციებისა და მუშათა დაცვის შესახებ.

—

ბავარიის პალატას წარედგინა სამხედრო მინისტრის მოხსენება სამხედრო სამართლის წარმოების რეფორმის შესახებ, რაზედაც ამ ჟამად დიდი ყურადღებაა მიქცეული მთელის გერმანიისა. არა ერთხელ გამოთქმულა ეჭვი, რომ ვაი თუ ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა სამხედრო სამართალის წარმოების აწინდელის წესისა, იმ აზრს დაადგენს, რომ მთელის იმპერიისთვის ერთგვარი წესი იყოს შემოღებული და ამასთანავე საქმე ისე მოაწყონ, როგორც პრუსიაშია. მაშინ ბავარია უნდა გამოეთხოვოს აწინდელ წესს სამხედრო სამართალის წარმოებისასაო. მინისტრმა სთქვა, ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლოაო. მისის სიტყვით, 1890 წელს დაარსებულმა კომისიამ მართლა შეიმუშავა ახალი პროექტი სამხედრო-სამართლის წარმოებისა, მაგრამ ეს პროექტი უმაღლესად არ იქმნა მოწონებული. 1891 წელს შემუშავდა კიდევ ორი ახალი პროექტი, მაგრამ არც ერთი არ იქმნა მოწონებული. ამას შემდეგ შესწყდა კომისიის მუშაობა. ტყუილია ამიტომ ის ხმები, ვითომ სამხედრო უფროსებს უკვე დაურიგდა განსახილველად პროექტი სამხედრო ახალ წესდებისა. ბავარიის მთავრობა მოვალეობად მიიჩნევს წარმოსთქვას თვისი აზრი შესახებ სამხედრო-სასამართლოს რეფორმისა მხოლოდ მაშინ, როცა ამ წესდების განხილვას შეერთებული საბჭო შეუდგება. ბავარიის მთავრობა მოითხოვს მაშინ, რომ სამხედრო სასამართლოს წარმოება საჯაროდ იყოს და ისეთივე დარჩეს, როგორც აქამდე იყო.

—

გერმანიის მთავრობის აზრით, ჯერ არ დამდგარა ისეთი დრო, რომ მთავრობამ ანარხისტთა წინააღმდეგ საერთო რამ ღონისძიება იღონოს გაზ. „Koelnische Zeitung“-ის ბერლინელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ გერმანიას სულაც არ გამოუცხადებია ის აზრი, რომ ანარხისტთა წინააღმდეგ საერთა შორისოდ ღონისძიება რამ ვიხმაროთო. აქ ჯერ ისიც არ იციან დაბეჯითებით, ამას წინად მომხდარი საზარელი ამბები ანარხისტების ბრალია, თუ არაო.

—

**ინგლისი.** ტორიების გაზეთები ინგლისში სცდილობენ საბუთები მოუძებნონ ინგლისის ფლოტის გაძლიერების საჭიროებას და ამ განზრახვით აზრსა ჰკითხავენ არამც თუ ინგლისის მცოდნე კაცთ, არამედ საზღვარ-გარეთის მცოდნე კაცთაც. მაგალითებრ, ამას წინად „Daily Telegraph“-ის თანამშრომელს ამ საგნის შესახებ ლაპარაკი ჰქონია ბელგიის შესანიშნავ ინჟენერს გენერალ ბრიალმონთან. ბრიალმონს უთქვამს, რომ ინგლისი ფლოტის მხრივ არც ისეთს დიდს გაჭირვებაშია, როგორც ბევრსა ჰგონია და როგორც ბევრი აზვიადებსო. ინგლისს თუ შიში მოელის, ხმელთა შუა ზღვიდგან-კი არა, შავის ზღვიდგან მოელისო.

„წარსულს წელს ორი თვე გავატარე ევროპისა და აზიის ოსმალეთში, სადაც ხონთქრის მონდობილებით, სამხედრო ადაგები შევისწავლე. დავრწმუნდი, რომ სტამბოლი უფლობს და აწ შავ-ზღვაზედ დამწყვდეული რუსეთის ფლოტი მარმარილოს ზღვაში და დარდანელზედ ადვილად გადავა ეგეოს ზღვაში, ისე ადვილად, რომ ოსმალეთი თავის ნავთ-სადგურებიდგან მაგდენს ვერაფერს დააკლებს და გზას ვერ შეუკრავს... რასაკვირველია, მე აწინდელ მდგომარეობის შესახებ ვლაპარაკობ. ეჭვი არ არის ამასთან, სტამბოლს ისეთი ადგილი უჭირავს, რომ, თუ შესაფერად იქმნა გამაგრებული, მართლაც შეუვალი სიმაგრე შეიქმნება, რადგან ადვილი შესაძლებელია აუარებელი სურსათი გაიგზავნოს იქ ანატოლიიდგან, ჩრდილოეთ ოსმალეთისა და ოსმალეთის მეგობარ ბალკანეთის სახელმწიფოებიდგან. მაგრამ საქმე იმაში-კა არ არის, რაც შესაძლებელია, არამედ აწინდელ მდგომარეობაზედ გვაქვს ლაპარაკი. ეხლა-კი რუსეთის ფლოტს ადვილად შეუძლიან ხმელთა შუა ზღვაზედ გადასვლა და იქ ბალტიის ფლოტთან შეერთება. რაც შეეხება რუსეთის შავის ზღვის ფლოტს, ეჭვი არ არის ეს ფლოტი ძლიერია, ყოველს წელს ჰმატულობს და ეხლა ძალიან დიდი უნდა იყოს. ამიტომ მე კარგად არ მესმის, ინგლისელებს ხმელთა შუა ზღვის შიში რაღა აქვთ, როდესაც საშიში ადგილი სულ სხვაგან არის“.

—

**იტალია.** დეპეშით იუწყებიან, რომ პარლამენტის მემარცხენეთა დასმა მანიფესტი გამოსცა. მანიფესტს ხელი მოაწერა მემარცხენეთა დასის ოცდა-ათმა დეპუტატმა, მათ შორის კავალოტტიმ, კოლოიანიმ და იმბრიანიმ. მანიფესტი სთხოვს ახალს მთავრობას: შემცირებულ იქმნას სამხედრო ბიუჯეტი, მოქალაქეთა სია და მინისტრთა რიცხვი, რაიცა ამით სახელმწიფოს შემოსავალი გაუთანასწორდეს გასავალს. მანიფესტი წინააღმდეგია ახალ გარდასახადების შემოღებისა, ანუ აწინდელ გარდასახადის მომატებისა. უპირველეს ყოვლისა მემარცხენეთა დასი ითხოვს, სრულიად შეიცვალოს აწინდელი პოლიტიკა იტალიისა, «თანხმად ერის სურვილისა», ე. ი. თავი დავანებოთ სამთა კავშირს და საფრანგეთს მივემხროთო.

## თეატრის მატიანე

—

ლ. ტოლსტოის დიდი ყურადღება აქვს ამ ჟამად მიქცეული იტალიის სცენაზედ. ოქტომბერში მისი დრამა „ხელმწიფება წყვდიადისა“ წარმოადგინეს რომში, სადაც საზოგადოებას ძალიან მოეწონა, და შემდეგ ტურინსა და მილანშიაც განიმეორეს. ეხლა იტალიის გაზეთებში ნათქვამია, რომ ვენეციაში წარმოდგენილი დრამა ლ. ტოლსტოისა ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ მთელის კვირის განმავლობაში ყოველ დღე იმას არდგენდნენო. იტალიის გაზეთებში დიდად არის ნაქები დრამა ტოლსტოისა.

## გასართობი

—

ლონდონში ერთს ხუმარა კაცს შეხვდა ერთი მათხოვარი, რომელიც ყელზედ თოკ-მიბმულს ძაღლს მიჰყავდა. გამვლელ-გამომვლელთა გასაცინებლად ხუმარამ თოკი გასჭრა და ძაღლი გაიქცა. მაგრამ დიდხანს არ დამტკბარა თავისის სულელურის ხუმრობით, მათხოვარმა თვალები გაალო, წაავლო ამ კაცს ყისერში ხელი და ლაზათიანად გამობერტყა. შემდეგ ძაღლს მოეწია, დაიჭირა, ისევ გადააბა გაჭრილი თოკი, კვლავ დახუჭა თვალები და ისევ დაიწყო მათხოვრობა, თითქოს აქ არაფერი ამბავია: „მოწყალება მოიღეთ საბრალო უსინათლოსათვისაო“.

—

ორს კაცს ერთ საწოლზედ ეძინათ. ერთს მათგანს საბნის გარედ ტიტველი ფეხი გამოეშვირა. ეს შენიშნა მესამემ, დეზი შეიხსნა წაღიდგან და მძინარეს გაუკეთა ტიტველა ფეხზედ. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, რომ იმ კაცმა გაიქნია ფეხი და დეზით თავისთან მწოლს ფეხი გაჰფხაჭნა. მეორეს ეწყინა ესა, წამოხტა და სილა სტკიცა.

— რას იცემებიო, ჰკითხა დეზიანმა.

— იმასა, რომ დეზით სხეული დამაფხაჭნე.

— რას ჰლაპარაკობ, რის დეზი, როდესაც ტიტველი ვწევარ.

— მე რა ვიცი, მე-კი დეზი მომახვედრე-და!

— კაცო, მართლაც დეზი არა მქონია ზედაო, სთქვა დეზიანმა, როდესაც ზედ დაიხედა: რა ვირია ეს ჩვენი მოსამსახურე, წაღები გამხადა და დეზები-კი აღარ აუძვრია.

—

ინგლისის გაზეთებში შემდეგი ამბავია მოთხრობილი. დუბლინში ერთმა უსინათლომ ასი ბაჯაღლო დაჰმალა, მაგრამ ეს ფული ჩქარა ვიღაცამ აა[c]ალა. უსინათლომ ეჭვი ერთს ყმაწვილს კაცზედ მიიტანა, რომელიც ხშირად დადიოდა მასთან. პირდაპირს თქმას ხერხი ამჯობინა. როდესაც ის ყმაწვილი კაცი კიდევ მოვიდა ამ უსინათლოს სანახავად, უსინათლომ საიდუმლოდ გაუმჟღავნა: ასი ბაჯაღლო კარგა ხანია შენახული მაქვს ერთს ადგილას, მას შემდეგ ასიც სხვა შევიძინე და არ ვიცი ეს ფული გავასესხო, თუ ესეც იქავე შევინახოო? ქურდმა დიდის მჭევრ-მეტყველებით დაუწყო რწმუნება, რომ სარგებლით ფულის გაცემა არ ვარგა, ხშირად იკარგება თავნი და ისევ სჯობს ეგ ფულიც იქავე შეინახოთ, სადაც წინანდელი გაქვთ შენახულიო. რა-კი უსინათლო დაჰპირდა, რომ სწორედ რჩევისა შენისამებრ მოვიქცეო, ქურდმა მაშინვე მიიტანა ის ასი ბაჯაღლო და იქავე დააწყო, საიდგანაც აიღო, იმ იმედით, რომ მეორე ასს ბაჯაღლოსაც მიუმატებს და ორას ბაჯაღლოს ერთად დავავლებ ხელსაო. უსინათლოს ხერხი გამოადგა, სადამოზედ მივიდა იმ ადგილს, სადაც უწინდელი ფული ჰქონდა შენახული, სრულად დახვდა და წაიღო. ქურდი-კი დიდად გაოცებული და ნაწყენი დარჩა იმ გარემოებით, რომ, ორასის მაგიერად, თავისის უგუნურებით ის ასიც დაჰკარგა, რომელიც უკვე ხელში ჰქონდა ჩავდებული.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

„Figaro“ ამბობს, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში კეთილშობილთა რიცხვი თანდათან კლებულობს. მაგალითებრ ამ უკანასკნელს სესსიაზედ პალატაში იყო 2 პრინცი, 2 ჰერცოგი, 3 მარკიზი, 15 გრაფი, 6 ვიკონტი, 5 ბარონი და 34 აზნაური, სულ 67 კეთილშობილი. მესამე რესპუბლიკის პირველს წლეწადს-კი (1871 წ.) პალატაში ირიცხებოდა 2 პრინცი, 7 ჰერცოგი, 30 მარკიზი, 52 გრაფი, 18 ვიკონტი, 17 ბარონი და 97 აზნაური, სულ 222 კეთილშობილი.

—

ბელგიაში ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის კაცებს ამ ახლო ხანში ველოსიპედებს დაურიგებენ.

—

მეცნიერების წარმატება ჩინეთში ჩინეთის დედოფალსაც ძალიან ხელს უწყობს. დედოფალი რამდენსამე კვირას მძიმედ ავადმყოფი იყო, ეხლა უკეთ გახდა და ამ ჟამად პეკინის ოფიციალური გაზეთი სავსეა დაჯილდოვებულთა ნუსხით, რომელთაც ჯილდო დედოფლის განკურნების გამო ებოძათ. იმ 423 ექიმს, რომლებიც სწამლობდნენ დედოფალს, ეწყალობათ ხარისხი, ყვითელი, მწვანე და ცისფერი დუგმები და სხვ. იმპერატორი თავისს ბრძანებაში დიდად ჰქცხავს ბუდის მოგვებს და მოხუც ჩინელებს, რომელნიც დედოფლის ავადმყოფობის დროს განუწყვეტლივ გაიძახოდნენ, რკინის გზა, რომელიც სასახლის ბრძანებით იქმნა გაყვანილი, უნდა მოიშალოს. დედოფლის ავადმყოფობის ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ ღმერთებს არ მოსწონთ ორთქლმავალი და კვამლი მისი და ეგ ავადმ-

---

ერთ-ერთი ბელადი ღმეთაური იყო რეალიზმისა, ხოლო რამდენად დაჰშორდა ახლა თავის წინანდელ მიმართულებას, შეგიძლიანთ პიესის შინა-არსის გაიცნობით მიხვდეთ. მოქმედება სწარმოებს ერთ სოფლის ღარიბ სასტუმროში, რომელიც საწყალ მუშა-ხალხთა და გლახა-მათხოვრებით არის სავსე. აქ მოჰყავთ ერთი საწყალი თოთხმეტის წლის ქალი ანეტა, რომელიც წყალში გადავარდნილა, ოღონდ-კი მოვრჩე ჩემს ლოთსა და ბიწიერს მამასაო. ქალი გადაურჩენია დარჩობას სოფლის მასწავლებელს. შემოდგომის მძაფრი ქარი ზუზუნებს გარედ. ანეტა საშინლად გაცივებულა და სიკვდილის პირად არის. ხალხს მოიშორებენ თავიდამ. საცოდავს ქალს აწვენენ ლოგინში და მოჰყავთ მკურნალი, რომელიც აცხადებს, რომ ყოვლად შეუძლებელია მაგისი მორჩენაო. მაშინ შედის მასთან დაჲ მოწყალებისა, აძლევს წამლებს და აქრობს სანთელსა. ანეტას საშინელი სიცხე აქვს და, ნიშნად სიკვდილის მოახლოვებისა, ელანდება სხვა-და-სხვა აჩრდილნი. პირველად მოელანდება მისი კეთილი, რამდენისამე ხნის წინად გადაცვლილი, დედა და ლოცულობს თავის მომაკვდავ ასულის სარეცელს ახლო. დედა ამბობს, რომ საიქიოდამ მოვედი და ჩემ ქალთან უნდა დავრჩეო. შემდეგ მოელანდება სამი ანგელოზი, ნათლითა და ბრწყინვალებით მოსილი; კულისებიდამ ისმის წყნარი, საუცხოვო მუსიკა. ანგელოზნი ცდილობენ განუმარტონ ავადმყოფ ანეტას დიდება ღვთისა, ამაოება წუთისოფლისა და ბედნიერება საიქიოსი.

დედა ანებებს თავს ქალსა, მაგრამ ისევ მალე ბრუნდება მოწყალების დის ტანისამოსითა. „დედა ხარ ჩემი, თუ და მოწყალებისაო,“ ეკითხება ანეტა. „ისიცა ვარ და ისიცა, იმიტომ რომ კეთილნი სულნი საიქიოსი ერთმანერთსა ჰგვანან“.

„ეგ შავი აჩრდილი ვიღაა, ხელში რომ მახვილი უჭირავს?»

„ნუ გეშინიან, შვილო! ზოგისთვის ეგ მტერია, ზოგისთვის—მეგობარია. ეგ სიკვდილია. აი ეხლავ შეგმოსავ, რომ მიიღო ეგ აჩრდილი.“ ანგელოზებს მოაქვთ ანეტასთვის გრძელი თეთრი ტანისამოსი და დაფნის გვირგვინი. დედა აცმევს ტანთ; შორს ისმის გალობა ანგელოზის გუნდთა. სიკვდილი ნელნელა ახლოვდება და იწვდის მახვილსა, მაგრამ სწორედ ამ დროს ეშვება ფარდა.

მეორე მოქმედების წინად ხელახლად უკრავს მუსიკა და მერე იწყება კვლავ გამოცხადება ლანდ-მოჩვენებათა:

მოაქვთ კუბო, შემკული მწვანითა და ყვავილებით. მოდიან მეზობლები, ნაცნობნი და სკოლის შეგირდები. ყველა სწუხს და საყვედურს უთვლის ქალის დამნაშავე მამას. მოდის თვით მამაც და ერთი უცხო კაციცა, რომელიც კარებში ჩერდება. ყველა სტუმარნი უცბად შავ-სულებად გარდაიქმნებიან და ემუქრებიან ქალის მამას.

კარებში მოჩერებული უცხო კაცი მოწყალებასა სთხოვს მამას, მაგრამ ის არ განიკითხავს. ბრწყინვალე ნათელი ადგება ახლა უცხო კაცის სახეს. თვით ოთახიც მის თეთრ და ბრწყინვალე ტანისამოსისაგან ნათელით ივსება. ეს არის სოფლის მასწავლებელი, რომელიც ზეცის მოციქულად გარდაქმნილა ახლა.

„რა უყავ შენს შვილს“?;—ჰკითხავს ის მამას.

„ჩემი შვილი ბოროტი იყო, ჯიქი და ზარმაცი».—ამბობს პასუხად დამნაშავე მამა. შავნი სულნი ხმა-მაღლა აცხადებენ თავიანთ უსიამოვნებას, ხოლო მასწავლებელი უყვირის: «სტყუიო“! მამას აღარ ძალუძს აიტანოს ეს საშინელი ხარხარი დაცინვისა და სირცხვილეული მირბის სცენიდამ. ამ დროს მასწავლებელი იმოსება ბრწყინვალე შარავანდედით. „კეთილო ქალო!“, ეუბნევა ავადმყოფს, „მოდი ჩემთან. მწუხარე იყავ და მე განუგეშებ, ღარიბი იყავ, მაგრამ ახლა ბედნიერი იქმნები“. ანეტა ადგება და გულზე თავს დააყრდნობს მასწავლებელს. მუსიკა ჩუმდება, ანგელოზნი მიდიან და სცენაზედ ბნელდება.

ახლა შემოდის მკურნალი და დაჲ მოწყალებითა სანთლით ხელში.

„როგორ არისო“? ჰკითხავს დაჲ მოწყალებისა მკურნალს.

„გარდაიცვალაო“! ამბობს პასუხად მკურნალი.

დრამა თავდება. თითქმის მუდამ ამ პიესას ადგენენ და ხალხით სავსეა ხოლმე თეატრი.

არტურ ლეისტი

ყოფობა გაუჩინეს დედოფალსაო. იმპე-რატორი მადლობას სწირავს ღმერთებს, დედოფლის განკურნებისათვის და აცხა-დებს, რომ მეცნიერების წარმატება სა-მშობლოს კეთილდღეობას არაფრით ავნებსო“. მოხუცი ჩინელები დიდად შეშფოთებულნი არიან და დარწმუნებით ამბობენ, რომ ჩვენი სამშობლო დიდს განსაცდელშიაო.

—

ხონთქარის ქალიშვილი ამას წინად ერთს მონასტერში უპოვნიათ. მონა-ზონებს არა სცოდნიათ იმისი ვინაობა, რადგანაც თავ-შესაფარი ბინა მიეცათ ამ უმაწვილისათვის. ამ რამდენისამე წლის წინად ხონთქარის ჰარამხანიდგან ერთი ხონთქრის ზანოვანი გაიპარა და თან წაიყვანა თავისი ორის წლის ქა-ლიშვილიც, რომელიც მონასტერში მი-აბარების სხვა სახელით. ეხლა ამ ქა-ლმა უსახელო წერილი მისწერა პოლი-ციას და აცნობა ხონთქარის ქალიშვი-ლის ბინა. ხონთქარს უკვე გაუცია ბრძანება უმაწვილის მონასტრიდგან გა-მოყვანა.

## გამოსადეგი ცნობა

—

კვერცხის სიკეთის შეტყობა. კვერცხის სიკეთისა და აგ კარგიანობის შე-ტყობად უკელაზედ საუკეთესო საშუა-ლება ის არის, რომ სიმძიმის მხრივ იქმნას გასინჯული. ¼ გირ. მარილი გახსენით ნახევარს ბოთლს წყალში და ჩაუშვით შიგ კვერცხი. ახლად დადებუ-ლი და კარგის ღირსების კვერცხი მა-შინვე ქვასავით ჩაეშვება ძირს; დიდის ხნის დადებული კვერცხი შუაში დაი-წყებს ცურვას, ხოლო წამხდარი, ლაყე კვერცხი მაშინვე ამოტივტივდება. ამაზედ უკეთესი საშუალება არ მოიპოვება კვერ-ცხის სიკეთის გასასინჯად.

## სამეცნიერო ნაწილი

—

მოსკოვში 18 ნოემბერს პროფე-სორმა თ. ერისმანმა წაიკითხა თავი-სი უკანასკნელი საჯარო ლექცია, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნი-შნა, რომ ძუძუ-მწოვარა ბავშვების საერთოდ ხელოვნურად კვება არა-ფრად სასურველია და სასარგებლო, რადგან ცუდად ჰმოქმედობს ბავშვე-ბის ჯან-საღობასა და აგებულებაზე-დაო. ლექტორმა ეს თავისი აზრი იმითი დაამაგალითა, რომ მარტო ვიურტემბერგის ოლქში იმ ყმაწვილ-თა შორის, რომელთაც დედები აწო-ვებენ ძუძუს, 13½% იხოცება, ხო-ლო ხელოვნებით გამოკვებილ ბავ-შვთა შორის-კი—43%. ბავარიაში ბუნებრივად გამოკვებილ ბავშვთა შო-რის იხოცება 25%, ხელოვნებით გა-მოკვებილთა შორის—50%. მიუნ-ხენში ეს განსხვავება უფრო ძლიერ იჩენს თავს: დედის რძით გამოკვე-ბილთა შორის მხოლოდ 15% იხო-ცება, ხელოვნურად გამოკვებილთა შორის—80%.

შემდეგ ლექტორი შეეხო ჯარის-კაცთა გამოკვებასაც და დიდი ყუ-რადღება მიაქცია ეგრედ წოდებულს ჯარის-კაცთა საგზაო სურსათს (იმ სურსათს, რომელიც ჯარის-კაცს ომიანობის დროს თან დააქვს და სამის დღის განმავლობაში უნდა ეყოს). ამ სურსათში უფრო დიდი ადგილი უჭირავს გამხმარს პურს, ეს პური კარგად ვერ ასაზრდოებს ჯარის-კაცს, ნოყიერი არ არის და კარ-გი იქნებოდა, რომ ჯარის-კაცს ცერ-ცვის ფქვილი და დანაყილი გამხმა-რი ხორციც ეძლეოდეთო.

# დეპეშა

30 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ დეპეშით მადლობა გადაუხადა პირველ ფლო-ტის ეკიპაჟს, რომელმაც სახელ წო-დების დღესასწაული მიულოცა. დე-პეშაში სხვათა შორის ნათქვამია: „იმედი მაქვს, მალე ვიქმნები ჩემ ძვირფას მეზღვაურთა შორისო“.

ნება დართულ იქმნა ხივის სახა-ნოდგან თურქესტანში ვერცხლის ფულის შეტანა.

**პარიჟი.** პალატამ შეიწყნარა მთავრობის კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ხუთის წლით დააპატიმრე-ბენ ყველა იმათ, ვინც ხალხს წაა-ქეზებს ძარცვასა, ცეცხლის წაკიდე-ბასა და ბოროტ-განზრახვაზედ, აგრე-დვე იმათაც, ვინც მოიწონებს და აქებს ასეთს მოქმედებას.

სენატი ტაშს უკრავდა პერიეს ამ კანონ-პროექტის წაკითხვის დროს. მიღებულ იქმნა ღონის-ძიებანი სა-ზოგადო შენობათა და თეტრების დასაცველად. განზრახვა აქვთ განა-ძევონ 30-მდე უცხოელი ანარხისტი. ამბობენ, რომ დაპატიმრებულ იქმნა ვილაც ქალი მარეშალი—ვალიანის საყვარელი.

**რომი.** ჯარდინიელოს საზოგადო-ბის პალერმას პროვინციაში დიდი უწესოება მოხდა ქალაქის საბჭოს წინაალმდეგ. უწესოების ჩამდენთა შორის 8 კაცი მოკლულ იქმნა და 14 დაიჭრა.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტრომ შეადგინა სია რკინის გზის იმ სა-დგურთა, რომლებზედაც მიიღება გასაგზავნად სხვილფეხი საქონელი. სიაში ჩამოთვლილია სულ 400 სა-დგური. ამ სადგურებზედ საქონელს ბეითალები გასინჯავენ და ვაგონების დეზინფექციას მოახდენენ. სადგურთა სია მალე გამოცხადდება.

1 დეკემბერი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სა-ბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს ფინანსთა სამინისტროს პროექტს ქა-რხნებისა და სამრეწველო წარმოე-ბის ზედამხედველობისას რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში.

ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს მოხსენებას შესახებ იმისა, რომ სამის წლის გან-მავლობაში აქციზი კვლავ არ გადაჰ-ხდეს იმ სპირტზე, რომელიც იგზავ-ნება ქიმიურ მასალების გასაკეთებ-ლად.

ხერსონის გუბერნატორი გენერა-ლი ოლივი დაინიშნა საუფლისწუ-ლო უფროსის თანაშემწედ.

**პარიჟი.** სენატმა ერთხმად და უკა-მათოდ შეიწყნარა პროექტი მწე-რლობის კანონმდებლობის შეცვლი-სა.

**ბარცელონა.** ტრაფალგარის ქუ-ჩაზედ ერთ სახლში აპოვეს ოთხი ყუმბარა, დინამიტით გატენილი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7⁵/₈ | 7,64 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები | 152 | 152¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245¼ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 220½ |
| 4% მესამე სესხისა. . | -- ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 100½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97½ | -- ,, | — ,, |


## განცხადებანი

ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს მობრძანდეს, ვინც შარშან ორი წყვი-ლი საყურე დაჰკარგა ტფილისში და მიიღოს თავისი დანაკარგი. საჭიროა მხოლოდ წარმოადგინოს საბუთები, რომ ის დანაკარგი სწორედ იმისია. (3—3)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—131)




ამხანაგობა „ჰიგიენა“

ლიზოლინი

ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის

სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37.




## გამოსადეგ ცნობანი

# პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სი-ფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვე-ბისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბა-ვშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილი-სი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# „ჩ ი კ ა გ ო“

წინანდელი სასტუმრო „დ ა ნ ი ა“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროს-პექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად **„ჩიკაგო“**

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუ-ფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევ-რით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—23)

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, **პარიჟი.**

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახვრად მოძრავი | მაღალი ნახვრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
|---|---|---|
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |




ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(3—2)